



## ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა  
ყოველთვიური მიმოხილვა  
12 სექტემბერი 2018

ენერჯო სექტორი საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში სტრატეგიული სექტორების ჩამონათვალშია. კანონი საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ პარლამენტმა 2018 წლის მაისში დაამტკიცა, ხოლო “საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესი” საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის აგვისტოში მიიღო. ახლადმიღებული კანონმდებლობა განმარტავს პროექტის ინიცირების, პარტნიორის მოძიების და პროექტის მონიტორინგის პროცესების ძირითად ასპექტებს. საჯარო-კერძო თანამშრომლობის სხვა ფორმებთან ერთად, კანონმდებლობაში აგრეთვე განხილულია ინვესტორისთვის გარანტირებული გრძელვადიანი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა.

**ევა ბოჭორიშვილი**  
კვლევების დეპარტამენტის უფროსი  
evabochorishvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.8036

**მარიამ ჩახვაშვილი**  
ანალიტიკოსი  
mchakhvashvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.7897

იმისთვის, რომ პროექტი საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმით განხორციელდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) პროექტის ღირებულება აღემატება 5 მლნ აშშ დოლარს და გრძელდება მინიმუმ 5 წელი; 2) რისკი და ინვესტიცია სამართლიანადაა გადანაწილებული კერძო და საჯარო პარტნიორებს შორის; 3) პროექტი საჯარო ინტერესისაა. ამასთან, უფლებამოსილმა ორგანომმა შესაძლოა დაამატონ სხვა კრიტერიუმებიც სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე.


პროექტის ინიცირების და პარტნიორის მოძიების პროცესს ძირითადად უფლებამოსილი ორგანოები ახორციელებენ, გამჭვირვალე და კონკურენტული პრინციპებიდან გამომდინარე. კანონმდებლობა ენერჯეტიკის სექტორისთვის უშვებს ძირითადი წესისგან გამონაკლისებს, მაგალითად, 100 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის ენერჯოპროექტებისთვის ინიცირების ეტაპზევე აუცილებელია დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, ყველა ენერჯეტიკული პროექტი ზომის მიუხედავად უნდა შეთანხმდეს საქართველოს მთავრობასთან, კერძო პირს აქვს პროექტის ინიცირების უფლება, და მთავრობას შეუძლია დახურული და პირდაპირი მოლაპარაკება აწარმოოს ერთ პირთან ყოველგვარი საჯარო ტენდერისა და შეფასების პროცედურის გარეშე.

**2018 წლის ექსპორტის სეზონი 588.3 გვტ.სთ. ელექტროენერჯის ექსპორტით დასრულდა.** ექსპორტის 9.9%-იანი კლება 7 თვის მონაცემებით განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: 1) წინა წელს ექსპორტის მაღალი ბაზა, 2) ენჯურის ავარიული გათიშვა 2018 წლის მაისში და მასთან დაკავშირებული ექსპორტის შეწყვეტა, 3) ექსპორტიორი კომპანიების მიერ ნებაყოფლობით გაყიდული ელექტროენერჯია ადგილობრივ ბაზარზე თურქეთის ბაზრის ნაცვლად იქ არსებული დაბალი ფასების გამო, მიუხედავად იმისა რომ ამ კომპანიებს აქვთ გარანტირებული ექსპორტის ხელშეკრულება (მაგ. საქართველო-ურბან ენერჯი).




2018 წლის ძირითადი ექსპორტიორი იყო ესკო (მთლიანი ექსპორტის 64.6%), რომელმაც ელექტროენერგია გაყიდა რუსეთში და აზერბაიჯანში, აგრეთვე ექსპორტი განახორციელა თურქეთის მიმართულებით, უკვე განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი ელექტროენერგიის იმპორტის სანაცვლოდ. სხვა ექსპორტიორები იყვნენ საქართველო-ურბან ენერჯი (თურქეთის მიმართულებით), საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია (სომხეთის მიმართულებით), ენგურჰესი (სომხეთის მიმართულებით) და აჭარ ენერჯი 2007 (თურქეთის მიმართულებით).

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის ექსპორტი, გვტ.სთ



Source: ESCO, GeoStat

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის ექსპორტიორები და საექსპორტო ბაზრები, 7თ18



Source: ESCO

მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 7 თვეში ექსპორტის მოცულობა რაოდენობრივად შემცირდა, თანხობრივ გამოსახულებაში ექსპორტი წლიურად 13.8%-ით გაიზარდა და 19.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს აიხსნება იმით, რომ წელს ექსპორტი უფრო მაღალანაზღაურებადი მიმართულებებით განხორციელდა, მაშინ როცა შარშან ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო ბაზარი რუსეთი იყო (სადაც დაბალ ფასად იყიდება ენერგია). 2018 წლის 7 თვეში ელექტროენერგიის სავაჭრო დეფიციტმა შეადგინა 11.8 მლნ აშშ დოლარი, რაც წლიურად 40.8%-ით არის შემცირებული.




## ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი, მოხმარება და ექსპორტი - ივლისი 2018

2018 წლის ივლისში, ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 10.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2018 წლის 7 თვეში ჯამურად 8.8% - იანი ზრდა იყო. მოხმარების ზრდა ძირითადად პირდაპირი მოხმარებლების და სადისტრიბუციო კომპანიების გაზრდილმა მოხმარებამ განაპირობა.

**პირდაპირი მოხმარებლების** მიერ გამოყენებული ელექტროენერჯის მოცულობა წლიურად 33.6%-ით გაიზარდა და ქვეყნის შიდა მოხმარების 16.7% შეადგინა. ზრდა ძირითადად პირდაპირი მოხმარებლების ჯგუფში სამი ახალი კომპანიის დამატებამ გამოიწვია. მათში ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, „ჯი ეფ დი სი ჯორჯია“, „ჯეო სერვერს“ და „ქუთაისი ინვესტიმენტს“ ავტომატურად დარეგისტრირდნენ პირდაპირ მოხმარებლებად, რადგან მათი საშუალო თვიური მოხმარება აღემატებოდა 15 მლნ კვტ.სთ-ს.

**დისტრიბუციის ლიცენზიანტების** მოხმარება წლიურად 7.8% გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი აბონენტების რიცხვს სამი მსხვილი კომპანია დააკლდა. ეს ზრდა ძირითადად ახალი კომერციული აბონენტების დამატებით აიხსნება.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო  
შენიშვნა: ენერჯო-პრო ჯორჯია მოიცავს კახეთის ენერჯოდისტრიბუციის 2017 წლის აგვისტომდე მოხმარებასაც

2018 წლის ივლისში, ელექტროენერჯის ექსპორტი წლიურად 40.5%-ით შემცირდა და ქსელში მიწოდებული ენერჯის 10.4% შეადგინა. ივლისის თვეში განხორციელებული 132.0 გვტ.სთ ელექტროენერჯის ექსპორტიდან ნახევარზე მეტი (52.2%) განხორციელდა თურქეთის მიმართულებით (-40.5% წ/წ), ხოლო დანარჩენი - რუსეთის (მთლიანი ექსპორტის 33.3%), სომხეთის (მთლიანი ექსპორტის 7.6%) და აზერბაიჯანის (მთლიანი ექსპორტის 6.9%) მიმართულებით გადანაწილდა. ექსპორტის 70% განახორციელა ესკომ რუსეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის მიმართულებით. 2018 წლის ივლისის თვეში კერძო ექსპორტიორები იყვნენ მხოლოდ სსეკი (სომხეთის მიმართულებით) და საქართველო-ურბან ენერჯი (თურქეთის მიმართულებით).

ცხრილი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, ივლისი 2018

მოხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
<b>შიდა მოხმარება</b>	<b>+10.8%</b>	<b>100.0%</b>
აფხაზეთის რეგიონი	+2.8%	10.7%
კვალიფიციური საწარმოები	+33.6%	16.7%
სადისტრიბუციო კომპანიები	+7.8%	72.7%
ენერჯო-პრო ჯორჯია	+5.5%	47.9%
თელასი	+12.5%	24.7%

წყარო: ესკო



**ივლისის თვეში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა ჰიდროგენერაციამ.**

ჰიდროგენერაცია წლიურად 1.5%-ით გაიზარდა და 1.3 ტვტ.სთ შეადგინა. ზრდას ხელი შეუწყო კარგმა ჰიდროლოგიურმა პირობებმა და ახალი სადგურების დამატებამ. ამასთან ზრდაზე უარყოფითი გავლენა ჰქონდა ზოგიერთ მარეგულირებელ სადგურზე განხორციელებულ სარემონტო სამუშაოებს.

ენგურ-ვარდნილის გამომუშავებამ (+11.2% წ/წ) ივლისში მოხმარებული ელექტროენერჯიის 65.9% დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ენგურ-ვარდნილის გამომუშავებამ 2018 წლის შვიდ თვეში 3.2 ტვტ.სთ-ს მიაღწია (+24.8% წ/წ), რაც 2010 წლის შემდგომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.


ივლისში, თბოგენერაციის და იმპორტის წილი ჯამურ მიწოდებაში მხოლოდ 0.7% იყო, რაც მხოლოდ სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭირო ტექნიკური მიზეზებიდან გამომდინარე განხორციელდა.

ცხრილი 2: ელექტროენერჯიის მიწოდება, ივლისი 2018

მიწოდება	წლიური ზრდის ტემპი	წილი ჯამურ მიწოდებაში
<b>ჯამური მიწოდება</b>	<b>+1.7%</b>	<b>100.0%</b>
იმპორტი	+1.6%	0.1%
ადგილობრივი გენერაცია	+1.7%	99.9%
თბოსადგურები	+30.9%	0.6%
ქარის სადგურები	+9.9%	0.6%
ჰესები	+1.5%	98.7%
ენგური-ვარდნილი	+11.2%	65.9%
სხვა რეგ. ჰესები	-21.7%	19.5%
დერეგულირებული ჰესები	+1.7%	13.3%


წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ელექტროენერჯიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 5: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ



წყარო: ესკო

2018 წლის ივლისში, გარანტირებული სიმძლავრის საფასური წლიურად 9.6%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 0.38 აშშ ცენტი შეადგინა. ზაფხულის თვეების განმავლობაში გარანტირებული სიმძლავრის საფასური შედარებით დაბალია თბოსადგურებზე მიმდინარე გეგმიური სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე. ივლისში, სარემონტო სამუშაოები ხორციელდებოდა თბილსრესის მე-4 ბლოკზე, მტკვარი ენერჯიის მე-9 ბლოკზე და ნაწილობრივ გარდაბნის თბოელექტროსადგურზე.




### ელექტროენერჯის ფასები საქართველოში და თურქეთში - ივლისი 2018

2018 წლის ივლისში, საქართველოში ელექტროენერჯის **საბალანსო ფასი** წლიურად 26.7%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 3.6 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ბაზარზე ესკოს გავლით ჯამური მიწოდებული ელექტროენერჯის მხოლოდ 5.4% ივაჭრებოდა.

ივლისში, საქართველოდან ელექტროენერჯის **ექსპორტის საშუალო ფასი** წლიურად 3.1%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 3.4 აშშ ცენტი შეადგინა.

**თურქეთში** ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი თურქულ ლირაში წლიურად 16.7%-ით გაიზარდა, თუმცა ლირის გაუფასურების გამო ფასები დოლარში 12.5%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 4.4 აშშ ცენტი შეადგინა.

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საესტატი, EPIAS  
შენიშვნა: ივლისში იმპორტი არის უმნიშვნელო.



**ცხრილი 3: ელექტროენერჯის ბალანსი (გვტ.სთ)**

	აგვ-17	სექ-17	ოქტ-17	ნოემ-17	დეკ-17	2017	იან-18	თებ-18	მარ-18	აპრ-18	მაის-18	ივნ-18	ივლ-18	7თ18
<b>სულ შიდა მოხმარება</b>	<b>1,037</b>	<b>918</b>	<b>947</b>	<b>1,032</b>	<b>1,163</b>	<b>11,856</b>	<b>1,168</b>	<b>1,059</b>	<b>1,114</b>	<b>979</b>	<b>961</b>	<b>980</b>	<b>1,091</b>	<b>7,352</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	14%	16%	7%	7%	0%	7.7%	8%	5%	9%	5%	12%	13%	11%	8.8%
<i>მათ შორის:</i>														
- ავზაზეთის რეგიონი	119	101	136	194	241	<b>2,002</b>	247	216	207	149	100	101	116	<b>1,138</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	2%	-8%	-4%	-1%	-5%	3.9%	-2%	-7%	1%	-13%	-24%	0%	3%	-5.9%
- კვალიფიციური საწარმოები	138	122	121	107	102	<b>1,427</b>	108	104	115	109	180	176	182	<b>974</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	66%	91%	62%	32%	-17%	18.1%	1%	-8%	-11%	-14%	90%	35%	34%	16.2%
- სადისტრიბუციო კომპანიები	780	695	690	732	819	<b>8,427</b>	812	738	792	721	680	702	793	<b>5,239</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	10%	13%	4%	6%	4%	7.1%	12%	11%	16%	14%	8%	10%	8%	11.2%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	519	456	457	481	528	<b>5,493</b>	521	476	521	485	466	476	523	<b>3,468</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	11%	13%	5%	10%	8%	8.1%	17%	16%	19%	16%	11%	12%	5%	13.6%
- თელასი	261	239	233	251	292	<b>2,935</b>	291	262	271	237	215	226	270	<b>1,771</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	9%	12%	1%	-1%	-2%	5.2%	4%	2%	10%	9%	3%	7%	13%	6.7%

<b>სულ გენერაცია</b>	<b>1,035</b>	<b>821</b>	<b>828</b>	<b>968</b>	<b>1,080</b>	<b>11,531</b>	<b>1,014</b>	<b>934</b>	<b>997</b>	<b>1,064</b>	<b>1,161</b>	<b>1,208</b>	<b>1,268</b>	<b>7,646</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	8%	3%	-9%	-3%	-9%	-0.4%	6%	15%	35%	30%	6%	6%	2%	12.4%
<i>მათ შორის:</i>														
ჰიდროსადგურები	944	706	583	658	682	<b>9,211</b>	676	594	775	1,019	1,079	1,200	1,253	<b>6,596</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	6%	10%	-11%	2%	0%	-1.3%	20%	64%	42%	41%	0%	6%	2%	17.0%
თბოსადგურები	83	107	239	304	393	<b>2,233</b>	331	334	215	35	76	3	7	<b>1,002</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	31%	-32%	-6%	-14%	-21%	-0.1%	-14%	-24%	14%	-59%	NM	171%	31%	-9.5%
ქარის სადგურები	8	7	7	5	6	<b>88</b>	7	6	7	9	5	5	8	<b>48</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	N/A	N/A	178%	-19%	NM	10%	7%	-21%	0%	-34%	-41%	10%	-11.9%

<b>იმპორტი</b>	<b>73</b>	<b>133</b>	<b>157</b>	<b>110</b>	<b>135</b>	<b>1,497</b>	<b>202</b>	<b>168</b>	<b>161</b>	<b>11</b>	<b>44</b>	<b>6</b>	<b>1</b>	<b>593</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	597%	449%	832%	766%	302%	212.6%	13%	-33%	-48%	-92%	NM	NM	2%	-33.3%
<b>ექსპორტი</b>	<b>32</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>1</b>	<b>0</b>	<b>686</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>62</b>	<b>200</b>	<b>195</b>	<b>132</b>	<b>588</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	16%	N/A	N/A	N/A	N/A	22.7%	N/A	N/A	N/A	N/A	0%	-15%	-40%	-10%
<b>წმინდა ექსპორტი</b>	<b>(41)</b>	<b>(133)</b>	<b>(157)</b>	<b>(109)</b>	<b>(135)</b>	<b>(811)</b>	<b>(202)</b>	<b>(168)</b>	<b>(161)</b>	<b>51</b>	<b>156</b>	<b>188</b>	<b>131</b>	<b>(5)</b>
<b>ტრანზიტი</b>	<b>93</b>	<b>32</b>	<b>15</b>	<b>23</b>	<b>53</b>	<b>254</b>	<b>-</b>	<b>13</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>13</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-33%	-69%	-89%	-83%	-61%	-70.1%	N/A	-18%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-65.5%

\*ენერგო-პრო ჯორჯია მოიცავს აგრეთვე კახეთის ენერჯის დისტრიბუციის მონაცემებს (2017 წლის აგვისტომდე)  
წყარო: ესკო



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა ფლობლობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტიციებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულად იქნას, როგორც ბაზრების, ინფორმაციის და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმები ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცემული არიან ამ კვლევიტ. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,  
საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: research@gt.ge

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
კახაბერ სამკურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

**ეკონომისტი**  
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge